უვადო მსჯავრდებულთა საქმეების პერსპექტივები

გივი დუმბაძის საქმე

საკითხის ანალიზი და
სარეკომენდაციო წინადადებები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
აგვისტო, 2015 წ.
ქ. თბილისი

კვლევაზე მუშაობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი
Researchers:
N (N) LP the „Young Barristers” team

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
არჩილ კაიკაციშვილი
Head of the Working Group
Archil Kaikatsishvili

სამუშაო ჯგუფი:
Working Group:

არჩილ კაიკაციშვილი

სალომე გოგლიძე

მარიამ იობაშვილი

ბექა ჯავახიშვილი

ლაშა ციბაძე

ცაბო გუგუნაშვილი

თარგმნა:
Translated by:
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
N (N) LP the „Young Barristers”
ნინო ვალიკოვი

კვლევა მომზადდა
„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ინიციატივის ფარგლებში.

Research has been prepared
Within the framework of the Project “Institutional dialogue with Executive, Legislative and Judicial Authorities”.

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წყაროს მითითებით.

Information presented in the research may only be used by indicating the source

შინაარსი[1]

1. საკითხის ანალიზისთვის
2. გივი დუმბაძის საქმე
3. დასკვნა
4. სარეკომენდაციო ნაწილი

[1] მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

1. საკითხის ანალიზისთვის

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2014 წლის მონაცემის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში, 81 უვადო პატიმარი იხდის სასჯელს და ყველა მათგანი საქართველოს მოქალაქეა.[2] ორგანიზაციის მხრიდან სამინისტროს მიმართ დასმულ შემდეგ კითხვაზე, თუ ა) საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რამდენი უვადო პატიმრობაში მყოფი პირი იხდიდა სასჯელს, ბ) საქართველოს სასჯელაღსრულების რომელ დაწესებულებებში იხდიდნენ სასჯელს უვადო პატიმრობაში მყოფი პირები, გ) საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი უვადო პატიმრობაში მყოფი პირებიდან, რამდენი მამაკაცია და რამდენი ქალბატონი და დ) საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი უვადო პატიმრობაში მყოფი პირები, რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან, სამინისტროს მხრიდან მომზადდა შემდეგი გამოხმაურება, რომ რუსთავის #5 დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა -3, რუსთავის #6 დაწესებულებაში - 13, თბილისის #7 დაწესებულებაში - 3, თბილისის #8 დაწესებულებაში - 62, მათ შორის ქალი -3, მამაკაცი კი - 78. როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის 2015 წლის 6 მარტის შეწყალების აქტით, ზემოაღნიშნული სამი უვადო პატიმარი ქალბატონი შეიწყალა. მათ, ნაცვლად უვადო პატიმრობისა, პატიმრობის ვადა 20 წლით განესაზღვრათ.[3]

ორგანიზაციამ 2015 წლის 26 მარტს წერილით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს და შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით გამოხმაურება ითხოვა:[4]

1. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, გავრცელდა თუ არა 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში იმჟამად მყოფ უვადო პატიმრებზე?
2. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, მოახდინა თუ არა 2012 წლის 28 დეკემბრის კანონმა უვადო პატიმართა საბოლოო სასჯელის ზომაზე გავლენა და რა ფორმით?
3. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონით, რამდენ უვადო პატიმარს შეუმცირდა სასჯელი ან/და სრულად გათავისუფლდა სასჯელის მოხდისგან?
4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, ზემოაღნიშნული შემთხვევების დროს, რა დანაშაულებისთვის მსჯავრდებულებს შეეხოთ ამნისტია?

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის 3 აპრილის წერილის თანახმად, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი გავრცელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტისადმი თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებზე. აღნიშნულმა კანონმა გავლენა მოახდინა მხოლოდ ერთი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრის სასჯელის ზომაზე. ერთი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმარი განთავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან. აღნიშნული პირი სასჯელს იხდიდა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით“.[5]

ორგანიზაციამ 2015 წლის 26 მარტს წერილით მიმართა საქართველოს უზენაესს სასამართლოს და აღნიშნა, რომ ორგანიზაცია მუშაობდა კვლევაზე, რომელიც ეხება საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უვადო პატიმართა მდგომარეობას და მათ მიმართ სამართლებრივი მექანიზმების დადგენას, რომელიც შესაძლებელია, გახდეს ასეთი მსჯავრდებულთა საქმეების ხელახლა გადახედვის

---

[2] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2014 წლის 23 ოქტომბრის MCLA 5 14 00563083 წერილი.

[3] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/42137

[4] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 26 მარტის #155 წერილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიმართ.

[5] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის 3 აპრილის MCLA 9 15 00295345 წერილი.

საფუძველი. წერილში აღინიშნა, რომ ორგანიზაცია საკითხს სწავლობდა, მათ შორის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, კვლევის ჯგუფმა უკვე შეისწავლა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის არაერთი განჩინება, რომელიც უვადო პატიმართა საქმეებს ეხება. კერძოდ, განჩინებები, რომელიც დადგა 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის „ამნისტიის შესახებ" საფუძველზე. სასამართლოს გადაწყვეტლებების ანალიზის შემდგომ, განჩინებების უმრავლესობაში მოსამართლეები აღნიშნავენ შემდგომს: *,,ამნისტიის შესახებ" 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, მსჯავრდებულ X ერთი მეოთხედით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის ზომად დარჩეს უვადო თავისუფლების აღკვეთა".* (საქმე: 1400(1)-13; 812 (1)-13; 1620 (1) – 13; 1462 (1) – 13; #ამნ-738-2013; #ამნ-746-2013; #6-1162-13; 1120-13)". ორგანიზაციამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით, გამოხმაურების მომზადება ითხოვა:

1. სასამართლომ განმარტოს ზემოაღნიშნული ჩანაწერის შინაარსი. კერძოდ: თუკი 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" კანონის თანახმად, მსჯავრდებულს ¼ უმცირდება შეფარდებული სასჯელი, რატომ რჩება საბოლოო სასჯელის ზომა მაინც უცვლელად?
2. გთხოვთ, სასამართლომ განმარტოს საკუთარი მიდგომა[6]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის წერილის თანახმად, „განხილულ იქნა მომართვა, რომელიც ეხებოდა იმ მსჯავრდებულთა საქმეებს, რომლებსაც „ამნისტიის შესახებ" 2012 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს კანონის საფუძველზე, ერთი მეოთხედით შეუმცირდათ დანიშნული სასჯელი - უვადო თავისუფლების აღკვეთა და საბოლოო სასჯელის ზომად დარჩათ უვადო თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული პრობლემის არსებითად გადაწყვეტისათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ საჭიროა საქართველოს პარლამენტს მიემართოს, რათა მან უზრუნველყოს სათანადო საკანონმდებლო ცვლილების მიღება, რის საფუძველზეც, შემდეგ სასამართლო იმოქმედებს კანონის შესაბამისად. ამნისტია სამართლებრივად შეუქცევადი პროცესია, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის სრულყოფასა და სამართლის უზენაესობის პრინციპის დაცვას ემსახურება".[7]

ორგანიზაცია სასჯელაღსრულების სისტემაში უვადო მსჯავრდებულების საქმეების შეფასებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც 2014-15 წლებში, სხვადასხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან განცხადებები მიიღო. უვადო პატიმრები მიუთითებენ, რომ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" კანონი მათ მიმართ, რეალური შედეგის გარეშე, გავრცელდა, სახელმწიფომ დაუშვა უნებლიე შეცდომა და სახეზეა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზი. კერძოდ, ორგანიზაციის მიმართ, სასჯელაღსრულების #8 დაწესებულებაში განთავსებული უვადო მსჯავრდებულთა 2015 წლის 9 თებერვლის ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, „სასჯელის ¼-ით შემცირების პრინციპი უნდა გავრცელებულიყო უვადო თავისუფლება აღკვეთილებზეც, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის ერთ-ერთ რეალურ და არა აბსტრაქტულ ზომაზე. სასამართლო ხელისუფლებამ კი, ამნისტიის კანონის აღსრულების საკითხის განხილვისას გამოტანილ განჩინებაში აღნიშნა, რომ „28.12.2012 წლის ამნისტიის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთილებს სასჯელი უნდა შეუმცირდეს ¼ -ით, რამეთუ აღნიშნული შეღავათი ვრცელდება ყველა სახის დანაშაულისა და სასჯელზე, რომლებზეც არ გავრცელდა ამნისტიის კანონის 1-15 მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, მაგრამ რაკი ამნისტიის კანონში კონკრეტულად არ არის გაწერილი, როგორ მოხდეს აღნიშნული ნორმის გავრცელება უვადო სასჯელზე, რომელსაც ზედა ზღვარი არ გააჩნია, სასჯელის საბოლოო ზომა (უვადო) დარჩეს უცვლელად". აღნიშნულმა ფაქტმა ნათელი გახადა 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის კანონის საკანონმდებლო ხარვეზი, რამეთუ არითმეტიკა გახდა კანონის უზენაესობის პრინციპის გავრცელების

[6] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების" 2015 წლის 26 მარტის #156 წერილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიმართ.

[7] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის #3-289-15 წერილი.

დამაბრკოლებელი ასპექტი და უვადო მსჯავრდებულნი არათანასწორუფლებიანნი აღმოვჩნდით კანონისა და სასამართლოს წინაშე“.[8]

ორგანიზაციამ 2015 წლის 26 მარტს, წერილით მიმართა[9] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მიუთითა, რომ „უვადო მსჯავრდებულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი არასწორი მუხლით იხდიან სასჯელს. ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩადენილი დანაშაულისათის შეფარდებული სასჯელი არაადეკვატურად მძიმეა. უვადო პატიმართა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ სრულიად უდანაშაულოდ იხდიან სასჯელს. 2012 წლის ამნისტიის კანონის თანახმად, მოხდა უვადო პატიმართა საქმეების განხილვა, თუმცა სრულიად უშედეგოდ, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ არ შეუმცირდათ სასჯელი“. ორგანიზაციამ სამინისტროს მხრიდან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით გამოხმაურება ითხოვა: ა) განიხილავს თუ არა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უვადო პატიმართა საქმეების გადახედვის შესაძლებლობას, ბ) დგას თუ არა ეს საკითხი თქვენი პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების დღის წესრიგში, გ) საწინააღმდეგო პოზიციის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ ასეთი მიდგომის მიზეზი, თუმცა 2015 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით, ორგანიზაციის მიმართვაზე გამოხმაურება არ მომზადებულა.

[8] ა(ა)აიპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიმართ გლდანის #8 დაწესებულებაში განთავსებული უვადო მსჯავრდებულთა 2015 წლის 9 თებერვლის წერილი.

[9] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 26 მარტის #157 წერილი საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართ

2. გივი დუმბაძის საქმე

ორგანიზაციამ ოჯახის მომართვის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 დაწესებულებაში უვადო მსჯავრდებულის, გივი დუმბაძის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები შეისწავლა, რომელიც შემდგომში უნდა გახდეს განსჯისა და შეფასების საგანი, თუ რამდენად სამართლიანია სახელმწიოფოს ამჟამინდელი პოლიტიკა უვადო მსჯავრდებულების მიმართ, რამდენად საჭიროა უვადო პატიმართა საქმეების გადახედვა 2003-2012 წლების მკაცრი მმართველობის მემკვიდრეობის გამო და სად არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება აღნიშნული კატეგორიის საქმეების მიმართ, რომ გააჩნდეს ინდივიდუალური დამოკიდებულება.

ორგანიზაციამ 2015 წლის 18 მაისს,[10] წერილით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და კანონის თანახმად, გივი დუმბაძესთან ხანმოკლე შეხვედრის/პაემნის უფლების მიღება ითხოვა. ვინაიდან ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს და არ სარგებლობდა შესაბამისი ლიცენზიით, იმავდროლუად არ მოიაზრებოდა იმ ადამიანთა სიაში, რომლებიც განისაზღვრება „პატიმრობის შესახებ“ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით, დეპარტამენტს მიემართა თხოვნით, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ასევე გივი დუმბაძის საქმეზე კვლევის თანაავტორს, ორგანიზაციის იურისტ სალომე გოგლიძეს მისცემოდა შესაძლებლობა ესარგებათ „პატიმრობის შესახებ“ კოდექსის მე-17 მუხლის 21-ნაწილით გათვალისწინებული უფლებით, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს/მსჯავრდებულს დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით, შეიძლება მიეცეს იმ პირებთან ხანმოკლე პაემნის უფლება, რომლებიც გათავლისწინებული არ არიან ამ მუხლის მე-2 ნაწილით.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2015 წლის 1 ივნისის წერილის თანახმად, დეპარტამენტმა მსჯავრდებულ გივი დუმბაძესთან ხანმოკლე პაემნის შესახებ თხოვნის დაკმაყოფილება, მიზანშეუწონლად მიიჩნია.

ორგანიზაციამ 2015 წლის 3 ივნისს, წერილით მიმართა[11] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს და აღნიშნა: „იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული ბრალდებულის საქმის ისტორიაში არსებობს სხვადასხვა კითხვა, შეუძლებელია ჩვენს წარმოდგენებს ჰქონდეს სიზუსტის პრეტენზია, თუ ორგანიზაცია უშუალოდ არ გადაამოწმებს პატიმართან მისი საქმის ისტორიაში არსებულ ცალკეულ ფაქტობრივ გარემოებებს“. შესაბამისად, ორგანიზაციამ სამინისტროს სთხოვა გადახედილიყო დეპარტამენტის პოზიცია მსჯავრდებულთან შეხვედრასთან დაკავშირებით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის 13 ივლისის წერილის საფუძველზე, ორგანიზაციის მიმართ გაკეთდა განმარტება, რომ ამგვარი პაემნის უფლება ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს მხოლოდ წახალისების ფორმით და ამ გადაწყვეტილების მისაღებად, აუცილებელია შემდეგი სამართლებრივი საფუძვლების არსებობა: მსჯავრდებულის ქცევა და დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობა.

ორგანიზაციამ 2015 წლის 20 ივლისს წერილით მიმართა[12] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტს და აღნიშნა, „იქედან გამომდინარე, რომ გივი დუმბაძის საქმე, მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები უაღრესად საინტერესოა კვლევის ავტორთათვის, ორგანიზაციას სურდა, საქმესთან დაკავშირებით, უშუალოდ გივი დუმბაძისგან მიეღო ცალკეული დამაზუსტებელი პასუხები“. შესაბამისად, ორგანიზაციამ ითხოვა მსჯავრდებულთან

---

[10] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 18 მაისის #234 წერილი საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ გოგი გახარიას მიმართ.

[11] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 3 ივნისის #249 წერილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ გიორგი მღებრიშვილის მიმართ.

[12] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 20 ივლისის #312 წერილი საქართველოს სასჯელარსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორ გოგი გახარიას მიმართ.

ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება და აღნიშნა, რომ „როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბატონი გივი დუმბაძე გამორჩეულია თავისი პიროვნული და პროფესიული თვისებებით. კეთილსინდისიერად ასრულებს დაწესებულების შინაგანაწესს და ემორჩილება შიდანორმატიულ წესრიგსს“.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 31 ივლისის წერილის თანახმად,[13] საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 66-ე მუხლის „მ“ პუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულ გივი დუმბაძეს ნება დაერთო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ხანმოკლე პაემნისთვის.

2015 წლის 13 აგვისტოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, არჩილ კაიკაციშვილი მსჯავრდებულ გივი დუმბაძეს #8 საპატიმრო დაწესებულებაში შეხვდა.

ორგანიზაციამ 2015 წლის 14 აგვისტოს, წერილით მიმართა[14] #8 დაწესებულების დირექტორს, შეხვედრის შესაძლებლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობა, სამოქალაქო სექტორსა და ციხის ადმინისტრაციას შორის, სამაგალითოა და ხელს უწყობს სისტემის გამჭვირვალობას.

„ორგანიზაციამ პატიმართან დააზუსტა ის საკითხები, რომელიც საინტერესოდ გვეჩვენებოდა იმ კვლევისთვის, რომელიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება უვადო მსჯავრდებულებთან, მათ შორის გივი დუმბაძის საქმესთან დაკავშირებით. თქვენი დახმარებითა და მხარდაჭერით, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა უშუალოდ გავსაუბრებოდით მსჯავრდებულს. გივი დუმბაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ განსაკუთრებულ დადებით ყურადღებას გრძნობს ციხის ადმინისტრაციის მხრიდან. დაკმაყოფილებულია ყველა საშუალებით, რომელიც პატიმრის ნორმალურ მდგომარეობას შეესაბამება. გაგვიზიარა თავისი აკადემიური ინტერესები და სურვილები“ - აღინიშნა ორგანიზაციის 2015 წლის 14 აგვისტოს წერილში.

გივი დუმბაძის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები

2008 წლის 25 ივნისის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, დაკმაყოფილდა შს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) აჭარის სამმართველოს შუამდგომლობა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბატალიონის მე-3 მსუბუქი ქვეითი ასეულის სერჟანტს, 25 წლის გივი დუმბაძეს, აღკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.[15]

გამოძიებამ ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურეს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარუდგინა. როგორც ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობაშია ნათქვამი, გივი დუმბაძემ „2008 წლის 23 ივნისს, თურქეთის რესპუბლიკაში, წინასწარი გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისგან, უკანონოს შეიძინა დაფასოებული, წონით 765,1 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. აღნიშნული ნივთიერება უკანონოს გადმოზიდა საქართველოს სახელმწიფო საზღრამდე, რის შემდგომაც, 2008 წლის 24 ივნისს, სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოიტანა საქართველოში, ტაქსით გადაადგილდებოდა ბათუმის

---

[13] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 დაწესებულების დორექტორ ნოდარ ქინქლაძის 2015 წლის 31 ივლისის MCLA 6 15 00622816 წერილი.

[14] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 14 აგვისტოს #345 წერილი #8 გლდანის დაწესებულების დირექტორ ნოდარ ქინქლაძის მიმართ.

[15] 2008 წლის 25 ივნისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანება საქმეზე: #10/ა-468. მოსამართლე: დავით გელაშვილი.

მიმართულებით, რა დროსაც დაკავებული იქნა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლების მიერ.“[16]

სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაბუთებულია ვარაუდი მოსალოდნელი სასჯელის შიშით ბრალდებულს თავი აერიდებინა წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს. გივი დუმბაძეს გაეგრძელებინა დანაშაულებრივი საქმიანობა. ამიტომაც მიიღო მისი დაპატიმრების გადაწყვეტილება.

2008 წლის 7 ნოემბერს, გივი დუმბაძემ განცხადებით მიმართავს აჭარის ა/რ პროკურატურას და საპროცესო შეთანხმების გაფორმებას მოითხოვს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, „იურიდიული კონსულტაციის მიღების შემდეგ, ნებაყოფლობით ვითხოვ პროკურატურასთან და სათანადო ორგანოებთან რეალური თანამშრომლობით საპროცესო შეთანხმების დადებას. კერძოდ, ჩემს მიერ დასახელებული იქნება 3 პირი, რომლებმაც 1000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, სარფის საბაჟოდან გამომატანინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის 765 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. დღემდე საპროცესი შეთანხმების დადების მოთხოვნით, მათი დასახელებებისგან თავშეკავება განპირობებული იყო ჩემი სიცოცხლის უზრუნველსაყოფად, რადგან მათგან წინასწარ გაფრთხილებული ვარ, მათი დასახელების შემთხვევაში, ფიზიკურად გამანადგურებდნენ მე და ჩემი ოჯახის წევრებს“.[17]

2008 წლის 2 დეკემბერს, სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას გივი დუმბაძემ განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ნაწილობრივ სცნობდა. მისი ჩვენებიდან ამონარიდის მიხედვით, გივი დუმბაძე ამბობდა: „ზემოთ დასახელებული ნარკოტიკურლი საშუალება მე თურქეთიდან საქართველოში არ შემომიტანია. 2008 წლის 21 ივნისს, ნაცნობებმა გამგზავანეს თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც უნდა შემხვედროდა ვინმე იუსუფი. იგი ვერ ვნახე და დავბრუნდი ბათუმში. მეორე დღეს, 22 ივნისს, კვლავ გამგზავანეს თურქეთის რესპუბლიკაში, შევხდი თურქ მოქალაქეს იუსუფს, რომელიც ქართულად საუბრობდა, რომელმაც მითხრა, რომ რისთვისაც ჩავედი უკვე გადატანილი იყო საქართველოს სარფის საბაჟოს ტერიოტორიაზე და იქ გადასვლის შემდეგ გადმომცემდნენ. აღნიშნულის გამო, მე იმავე ღამეს გადმოვედი საქართველოში. საბაჟო კონტროლის გავლის შემდეგ, ჩემთვის უცნობმა ახალგაზრდა მამაკაცმა გადმომცა 23 პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ჩამიწყო ნასკებში, სიჩქარეში ერთი პაკეტი ძირს დამივარდა, რომლიც ავიღე და ჩავდე შარვლის ჯიბეში. შემდეგ დავიქირავე ტაქსი და წამოვედი ბათუმის მიმართულებით, რა დროსაც დამაკავეს სოდ-ის თანამშრომლებმა“.[18]

გივი დუმბაძემ 2008 წლის 12 და 22 დეკემბერს დამატებით უპასუხა მის მიმართ დასმულ შეკითხვებს, რომელთა მეშვეობით, აკონკრეტებდა და აზუსტებდა მის ჩვენებას, რომ თურქეთის რესპუბლიკიდან ნარკოტიკი „ჰეროინი“ საქართველოში არ შემოუტანია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 2008 წლის 24 ივნისს ღამით ეჭვმიტანილად დაკითხვის დროს, გივი დუმბაძემ თავი დამნაშავედ ცნო და განმარტა, რომ დაკავების დროს მისგან ამოღებული 765, გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ მან თურქეთის რესპუბლიკიდან გადმოიტანა საკუთვრივ მოხმარებისთვის, ხოლო 2008 წლის 25 ივნისს, ბრალდებულად დაკითხვის ოქმში მიუთითა, რომ ეჭვმიტანილად დაკავების დროს მიცემულ ჩვენებაზე დასამატებელი ჯერ-ჯერობით, არ ჰქონდა. მოგვიანებით, 2008 წლის 12 დეკემბერს, გივი დუმბაძემ თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების დადების გარეშე, ვერ დაასახელებდა იმ პირების ვინაობას, ვინც მას 1000 აშშ დოლარის სანაცლოდ, საქართველოს საბაჟოს ტერიტორიიდან გამოატანინა ნარკოტიკული საშუალება. 2008 წლის 22 დეკემბერს, გივი დუმბაძემ სასამართლოს წარუდგინა წერილობითი შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ არ სურდა დაებრალებინა ის, რაც არ ჩაუდენია. აღნიშნული წერილობითი შუამდგომლობა

[16] 2008 წლის 25 ივნისის საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს შუამდგომლობა.
[17] 2008 წლის 7 ნოემბრის გივი დუმბაძის განცხადება აჭარის ა/რ პროკურორ ვასილ როინიშვილის მიმართ.
[18] 2008 წლის 11 ნოემბრის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი

ინტერესს იწვევს იმ გარემოების გამოც, რომ გივი დუმბაძე პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე, საქმეში ზემოაღნიშნული სამი პირის დასახელებისგან, უარს აცხადებდა.

2008 წლის 22 დეკემბერს, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენით, გივი დუმბაძე დამნაშავედ სცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, მოხდა სასჯელთა შეკრებითობა და გივი დუმბაძეს საბოლოოდ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.[19]

2009 წლის 22 იანვარს, პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.[20]

2009 წლის 16 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.[21] განჩინებით უცვლელი დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

2009 წლის 27 აპრილს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.[22]

საკასაციო საჩივარი უშუალოდ გივი დუმბაძის სახელით მომზადდა. საკასაციო საჩივარში, დეტალურად იქნა აღწერილი ის ფაქტი, რომ გივი დუმბაძეს ნარკოტიკული საშუალება გადაეცა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, სარფის საბაჟოზე. „ჩემს წერილობით ჩვენებაში მივუთითებდი, რომ საპროცესო შეთანხმების გარეშე, ჩემი და ჩემი ოჯახის უსაფრთხოების გამო, ვერ დავასახელებდი იმ პირების ვინაობას, რომლებმაც ჩემი ვალის პრობლემით, ოსტატურად დამიყოლიეს და გამომიყენეს. ჩვენებით ასევე განვმარტავდი, რომ დაკავების შემდეგ ჩემთვის უკვე გასაგები გახდა „გიორგის“ მიერ მანამდე ჩემი თურქეთში წაყვანა და 500 აშშ დოლარის სესხის სახით მოცემა ითვალისწინებდა ჩემი სანდოობის შემოწმებას, ხოლო შეპირებისამებრ, 30-500 გრამი ნარკოტიკი უნდა გადმომეტანა მათთვის, მათივე მოხმარებისთვის“. განვმარტავდი, რომ ჩემი ეჭვმიტანილად დაკითვის დროს მიცემული ჩემი ჩვენება იყო არასწორი, რადგან ვიყავი გაურკვეველ მდგომარეობაში, რასაც განაპირობებდა მოსალოდნელი საფრთხე ამ საქმესთან დაკავშირებით დამნაშავე პირთა მხრიდან, რაც ჩემი ამ კატეგორიის პირებთან ურთიერთობის გამოუცდელობითაც იყო ნაკარნახევი. ჩემი არასწორი ჩვენების მიცემა განპირობებული იყო იმითაც, რომ მე დაკავების შემდეგ ვხდებოდი, რომ სოდ-ის მუშაკებს, დიდად არ აინტერესებდათ, თუ ვინ გამიშვა და ვისთვის უნდა გადმომეტანა ნარკოტიკი. მათთვის საინტერესო იყო სენაკის სამხედრო ნაწილში მომხდარი მძიმე დანაშაულებების ირგვლივ თანამშრომლობა, რომლის სანაცვლოდ, უპირობო გათავისუფლებას მპირდებოდნენ, მაგრამ რაც არ ვიცოდი, როგორ მეთქვა. შემდეგ დამარწმუნეს, რომ თუ დაკავებამდე თურქეთში გადასულმა არაერთხელ გადმოვიტანე ნარკოტიკი, გამიშვებდნენ, ვენდე და მათივე დაწერილს ხელი მოვაწერე. პირები, რომლებმაც თურქეთში გამიშვეს, თითქოს ნარკოტიკის გადმოსატანად, სინამდვილეში, იგი სარფის საბაჟოს ტეროტორიიდან გამომატანიეს, რომლითაც სოდ-ი აშკარად სხვათაშორის ინტერესდებოდა, რამაც განაპირობა ჩემი ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის დროს არასწორი ჩვენების მიცემა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, აჭარის ა/რ პროკურორს, საქართველოს მთავარ პროკურორს და საქართველოს იუსტიციის მინისტრს, არაერთხელ მივმართე საპროცესო შეთანხმების თაობაზე, რა დროსაც პროკურატურას ვთავაზობდი იმ ხუთი პირის დასახელებას, ვინც მოტყუებით

[19] 2008 წლის 22 დეკემბრის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი საქმეზე: #1-496, მოსამართლე: ლევან თევზაძე.

[20] 2009 წლის 22 იანვრის გივი დუმბაძის კანონიერი ინტერესების დამცველ ალიოშა ქავზინაძის სააპელაციო საჩივარი.

[21] 2009 წლის 16 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საქმეზე:#1—144, მოსამართლე: მარინა სირაძე.

[22] 2009 წლის 27 აპრილის გივი დუმბაძის სააკასაციო საჩივარი.

თურქეთში გამიშვა და საქართველოს სარფის საბაჟოდან ნარკოტიკული ნივთიერება გამომატანია, მაგრამ ჩემთვის საეჭვო მიზეზების გამო, პროკურატურამ არ ისურვა საპროცესო გარიგებაზე წამოსვლა“ - აღნიშნავს გივი დუმბაძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიმართ გაგზავნილ საკასაციო საჩივარში.

2009 წლის 27 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის განვითარებისა და სრულყოფისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს - მითითებული სამართლებრივი წინაპირობების გარეშე - წარმატების პერსპექტივა“.[23]

2012 წლის 27 ნოემბერს, გივი დუმბაძის კანონიერი ინტერესების დამცველებმა, განცხადებით მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს და საქმესთან დაკავშირებით, დეტალური აღწერილობა მიაწოდეს. ამასთან, განცხადებით მოთხოვნილ იქნა გივი დუმბაძის საქმეში პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული დევნის დადგენის შესწავლაც.[24] აღნიშნულ წერილში ყურადღებას იმსახურებს გივი დუმბაძის დაკავების მომენტში, სამარშრუტო ტაქსის მძღოლის მზაობა, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და გივი დუმბაძის დაკავების მომენტში არსებული ინფორმაცია მიაწოდოს. განცხადებაში აღწერილია სამარშრუტო ტაქსის მძღოლის იმჟამინდელი პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ა) დაკავების მომენტში გივი დუმბაძე ფიზიკურად სცემეს, ბ) მას თავზე დადებული ჰქონდა სპეცრაზმელის ბატინკი, გ) არ შეუმჩნევია დაკავებულისგან ნარკოტიკული ნივთიერების ამოღება და დ) დაკავების პროცესს იღებდა სპეციალური კამერა. ადვოკატის ინფორმაციით, გივი დუმბაძის საქმეს ოპერატიული ვიდეო-მასალა არ ერთვის, რაც დამატებით კითხვებს აღძრავს.

2012 წლის 5 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“,[25] ხოლო საქართველოს პარლამენტმა, 2012 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“.

2013 წლის 15 იანვარს, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #6 პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორმა და მოითხოვა მსჯავრდებულ გივი დუმბაძის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენება.

2013 წლის 10 თებერვლის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, სსკ-ის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი - უვადო თავისუფლების აღკვეთა, გივი დუმბაძეს შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მოსახდელად დარჩა უვადო თავისუფლების აღკვეთა.[26]

2014 წლის 18 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას გივი დუმბაძის შეწყალების შესახებ რეკომენდაციით მიმართა.[27]

---

[23] 2009 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #507აპ-09, მოსამართლე: პაატა სილაგაძე.

[24] 2012 წლის 27 ნოემბრის განცხადება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მიმართ. წერილის სარეგისტრაციო #13499, ადვოკატი: კახაბერ მუმლაძე.

[25] 2012 წლის 5 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“.

[26] 2013 წლის 10 თებერვლის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #ამნ-746/2013.

[27] 2014 წლის 18 თებერვლის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართვა #05-2/4543 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქალაქეების, სახელმწიფო ჯილდოებისა და შეწყალების საკითხთა სამსახურს.

2013 წლის 3 სექტემბრის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის #20606/4-2 წერილის თანახმად, კომიტეტმა დაიწყო წარმოდგენილი განცხადების შესწავლა, ხოლო მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შემთხვევაში, საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით, აღნიშნული კომისიის მიმართ გაიგზავნებოდა.[28]

2013 წლის 11 დეკემბერს, გივი დუმბაძის ინტერესების დამცველებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს და გივი დუმბაძის მიმართ შეწყალების ინდივიდუალური აქტის გამოცემა მოითხოვეს.[29] საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, გივი დუმბაძის შეწყალების საკითხზე რეკომენდაციები, 2013-14 წლებში, განსასჯელის კანონიერი ინტერესების დამცველთა გარდა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, პარლამენტის ცალკეულმა წევრებმა და სახალხო დამცველის აპარატმაც მიიღო. საქართველოს პარლამენტის წევრის, ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ფატი ხალვაშის წერილში, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართ, ნათქვამია, რომ „მე, როგორც ქობულეთის მაჟორიტარი პარლამენტის წევრი პირადად ვიცნობ მსჯავრდებულ გივი დუმბაძის საქმეს, ქობულეთში, სოფელ ლეღვაში ცხოვრობენ, საქართველოს შეიარაღებული ძალების #2 ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის სერჟანტი მე-6 წელიწადია უდანაშაულოდ იხდის სასჯელს უვადო თავისუფლების აღკვეთით, ოჯახი იმედით ელოდება, რომ სამართალი აღსდგება და გივი ოჯახს დაუბრუნდება“.[30]

2014 წლის 24 მარტს, პრეზიდენტის მიმართ გივი დუმბაძის შეწყალების შესახებ სარეკომენდაციო წერილი გაიგზავნა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მხრიდანაც.[31]

2014 წლის 26 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების შესაბამსიად, საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.[32]

როგორც დოკუმენტშია ნათქვამი: „მითითებული დადგენილების მიღებით, 190 პირს მიენიჭა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირის სტატუსი და 25 პირს - პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირის სტატუსი. კომისიამ იმუშავა 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე და განიხილა ის განცხადებები, რომლებიც სემოსული იყო 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე. კომისიამ სულ განიხილა 227 პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულის და 37 პოლიტიკური ნიშნით დევნილის საქმე. მითითებული კომისიის მუშაობის მანდატის ამოწურვის შემდეგ კომიტეტში გაგრძელდა განცხადებები შემოტანა, სადაც მოქალაქეები მიუთითებდნენ სამართალწარმოების პოლიტიკური ნიშნით განხორციელების შესახებ. კომიტეტის მიერ რამდენიმე თვის განმავლობაში შესწავლილ იქნა თითოეული ასეთი განცხადება და ცალკე გამოიყო ის საქმეები, სადაც იკვეთება პოლიტიკური მოტივის შესაძლო არსებობა, მაგრამ აუცილებელია შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელება ამ

[28] 2013 წლის 3 სექტემბრის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის #20606/4-2 წერილი.

[29] 2013 წლის 11 დეკემბრის წერილი საქართველოს პრეზიდენტის მიმართ გივი დუმბაძის მიმართ შეწყალების შესახებ ინდივიდუალური აქტის გამოცემის შესახებ. წერილის სარეგისტრაციო #41771, ადვოკატი: კახაბერ მუმლაძე.

[30] 2014 წლის 7 თებერვლის საქართველოს პარლამენტის წევრის, ფატი ხალვაშის წერილი #1258/3-109 და #1262/3-109 მიმართვები საქართელოს პრეზიდენტისა და სახალხო დამცველის მიმართ.

[31] 2014 წლის 24 მარტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის #3201/4-2 მიმართვა პრეზიდნეტის ადმინისტრაციის მოქალაქეების, სახელმწიფო ჯილდოებისა და შეწყალების საკითხთა სამსახურს.

[32] 2014 წლის 26 თებერვლის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის #1979/4-2 მიმართვა საქართველოს მთავარ პროკურო გიორგი ბადაშვილის მიმართ.

გარემოებების გამოსარკვევად“. შესაბამისად, კომიტეტმა „დაუყოვნებელი, სამართლიანი და კანონიერი რეაგირებისთვის“, ასეთი შინაარსის მქონე საქმეები საქართველოს მთავარ პროკურატურას გაუგზავნა. კომიტეტის 31-წევრიან სიაში, მოხვდა გივი დუმბაძის საქმეც.

2014 წლის 27 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა გივი დუმბაძის საქმეზე დასკვნა გამოაქვეყნა.[33]

როგორც დასკვნის პოლიტიკურ მოტივში იქნა აღნიშნული, „განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გივი დუმბაძის უკანონო დაკავება და მსჯავრდება მოხდა პოლიტიკური მიზნებისთვის და არ იყო დაკავშირებული რაიმე დარღვევასთან შემდეგ გარემოებათა გამო: გივი დუმბაძე, რომელიც იყო აწ გარდაცვილი გენერალ რომან დუმბაძის უახლოესი ნათესავი, მოუწყეს სს დანაშაულის პროვოკაცია 2008 წლის 24 ივნისს, როდესაც სარფიდან ბრუნდებოდა ბათუმში. (სადაც გადაიტანა თურქეთში მომუშავე სიძისთვის და დისთვის საზაფხულო ტანისამოსი). როგორც დუმბაძის ადვოკატი აღნიშნავს, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს განუმარტეს, რომ ციხეში ჯდომით იგი მეტ სამსახურს გაუწევდა ქვეყანას, რომელმაც მისი წვრთნისა და აღჭურვისთვის უამრავი თანხები დახარჯა. მათი მოთხოვნით, იგი უნდა შეესახლებინათ გენერალ დუმბაძის საკანში და მისგან გაგებული ყველა ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა ოპერატიული მუშაკებისთვის. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, რუსეთის მთავრობამ გენერალ ბორისოვის მოთხოვნით, რომან დუმბაძე გაცვალა 15 ტყვე ჯარისკაცში და იგი წაიყვანეს რუსეთში. ომის შეწყვეტიდან რამდენიმე თვეში, აჭარის ა/რ პროკურორ ავთანდილ კ.-ის დავალებით, გ. დუმბაძეს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლებდნენ, შეასწავლიდნენ სპეცტექნიკას, გადაიყვანდნენ საქართველოდან რუსეთში, სადაც გენერალი დუმბაძე საქართველოს ხელისუფლებიდან დევნილ უახლოეს ნათესავს მიიღებდა და აცხოვრებდა თავის ოჯახში. გენერალის სახლში გ. დუმბაძეს უნდა დაემონტაჟებინა მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა. დანარჩელ მითითებებს იგი მიიღებდა მოსკოვის მეკავშირისგან. გ. დუმბაძის მხრიდან კატეგორიული უარის მიღების შემდეგ, მას მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა, რითიც განმცხადებლის მოსაზრებით, იგი დასაჯეს მმართველი პოლიტიკური ძალის პარტიული ინტერესების შეუსრულებლობისა და უგულებელყოფის გამო“.

როგორც საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2014 წლის 27 თებერვლის დასკვნაშია აღნიშნული, საქმესთან დაკავშირებით, სავარაუდოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. „განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, გამოტანილია არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს სოდ-ის თანამშრომელთა ჩვენება, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელეს გ. დუმბაძის დაკავება, რა დროსაც მას წინდებიდან ამოუღეს 771 გრ. ჰეროინი. განმცხადებელმა, როგორც დუმბაძის დამცველმა ადვოკატმა მოიძია ტაქსის მძღოლი და ტაქსში მჯდომი უცნობი პიროვნება. ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, ვერ ხედავდა „ჩხრეკის“ პროცესს. მან მხოლოდ დაინახა, როგორ ეწყო ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერება მანქანის კაპოტზე. ტაქსის მძღოლის განმარტებით, არც მას უნახავს ჩხრეკის პროცესი, რადგანაც ნაცემი ეგდო ძირს და თავზე ედო სპეცრაზმელის ჩექმა, თუმცა ორივე მათგანი მძიმე მათ შორის დუმბაძეც ამტკიცებს, რომ დაკავების პროცესს იღებდა ვიდეოკამერა, თუმცა სს საქმეში არ არის დართული დაკავების ამსახველი ვიდეოფირი. განმცხადებლის განმარტებით, სასამართლოს მიერ დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევის შესახებ, რაც მიანიშნებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევაზე.“

[33] 2014 წლის 27 თებერვლის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა და დასკვნაზე თანდართული წერილი #2005/4-2

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნით, „წარმოდგენილი მასალებით იკვეთება გ. დუმბაძის მიმართ სამართალწარმოების განხორციელებისას პოლიტიკური მოტივის არსებობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების სავარაუდო დარღვევები.“ შესაბამისად, კომიტეტი მიმართავს საქართველოს პროკურატურას საქმეზე სამართალწარმოების განხორციელებისას პოლიტიკური მოტივის არსებობისა და სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების სავარაუდო დარღვევის გამო, დაწყებულიყო ყოველმხრივი, ობიექტური გამოძიება და კანონიერი/სამართლიანი რეაგირება.

ამასთან, როგორც საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2015 წლის 10 თებერვლის წერილშია ნათქვამი, „განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გივი დუმბაძის დაკავება და უკანონო მსჯავრდება მოხდა წინა ხელისუფლების პარტიული ინტერესების შეუსრულებლობისა და უგულვებელყოფის გამო, რომელსაც მისი გამოყენება სურდა უახლოესი ნათესავის, გენერალ-მაიორ რომან დუმბაძისგან ინფორმაციის მიღებისა და შემდგომში მისი ლიკვიდაციის მიზნით. გივი დუმბაძემ კატეგორიული უარი განაცხადა ზემოაღნიშნულში მონაწილეობაზე, რის გამოც, იგი მეშვიდე წელია სასჯელს იხდის სად-ის #8 დაწესებულებაში და მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა“,[34] თუმცა, როგორც 2015 წლის 28 იანვრის საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გივი დუმბაძის დედის, შადიე დუმბაძის მიმართ გაგზავნილ წერილშია ნათქვამია, „საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხილულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია მსჯავრდებულ გივი დუმბაძის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვა. გაცნობებთ, რომ არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ იგი“.[35]

ორგანიზაციამ 2015 წლის 31 ივლისს წერილით მიმართა[36] საქართველოს მთავარ პროკურატურას და შემდეგ საკითხთან დაკავშირებით განმარტება ითხოვა:

1. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2015 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, რა ეტაპზე პარლამენტის მიერ „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე პროკურატურის მიმართ გადმოგზავნილ სიაში შესულ პირთა საქმეების შესწავლის მიმართულებით?
2. დასრულდა თუ არა რომელიმე საქმე და მიღებულ იქნა თუ არა რომელიმე გადაწყვეტილება?
3. რომელი დეპარტამენტი სწავლობს დოკუმენტით მოწოდებულ პირთა საქმეებს?
4. არის თუ არა საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის პრიორიტეტული აღნიშნულ საქმეებზე სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დღესდღეობით?

ორგანიზაციას 2015 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურის მხრიდან გამოხმაურება არ მიუღია.

გივი დუმბაძის პატიმრობის სინამდვილე

2013 წლის მაისში, ჟურნალისტ ნანა ფიცხელაურის ავტორობით, გაზეთ „ყველა სიახლეში“ მსჯავრდებულ გივი დუმბაძის პირველი და დღემდე ერთადერთი ინტერვიუ დაიბეჭდა, რითაც

---

[34] 2015 წლის 10 თებერვლის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წერილი #1144/4-2 საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

[35] 2015 წლის 28 იანვრის საქართველოს მთავარი პროკურატურის #13/4799 წერილი გივი დუმბაძის დედის მიმართ.

[36] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 31 ივლისის #331 მიმართვა საქართველოს მთავარი პროკურორ გიორგი ბადაშვილის მიმართ.

საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რეალური საფუძვლების გამო აღმოჩნდა გივი დუმბაძე დაკავებული და რა მოსაზრებებით მიუსაჯეს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ორგანიზაცია განმარტავს, რომ 2015 წლის 13 აგვისტოს, შეხვედრაზე მსჯავრდებულმა საგაზეთო ინტერვიუში მოყვანილი ფაქტები და გარემოებები კიდევ ერთხელ დაადასტურა და აღნიშნა, რომ სასჯელს უკანონოდ იხდის. იქედან გამომდინარე, რომ გივი დუმბაძის დაპატიმრების საქმის რეალური მიზეზები მნიშვნელოვანია გახდეს საჯარო, ორგანიზაცია სრულად წარმოადგენს მსჯავრდებულთან ინტერვიუს, რომელიც ჟურნალისტმა ადვოკატის დახმარებით, ასევე საპატიმროში ჩაწერა.

გივი დუმბაძე: „ჩემი დაკავების შემდეგ პოლიციაში ორი უცნობი შემოვიდა, რომელთაც მითხრეს, თუ მათ დავუჯერებდი, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ისინი ზრდილობიანად მექცეოდნენ, ყავა და სიგარეტიც შემომთავაზეს. შემდეგ ფურცლები და კალამი დამიდეს და მკაცრად მითხრეს, ხელი მოაწერეო. არც წამიკითხავს, ისე მოვაწერე ხელი. ამის შემდეგ ჩამიყვანეს სოდ-ის იზოლატორში, სადაც ორი დღე დავყავი. მესამე დღეს ჩემთან ისევ ის ორი უცნობი შემოვიდა, ვინაობა არც გამიმხილეს და მითხრეს, რასაც გეტყვით, დაიმახსოვრე და ისე მოიქეციო. ჩვენი საუბრის შემდეგ არც შენმა ადვოკატმა და არც შენი ოჯახის წევრებმა არ უნდა გაიგონ, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია და გარეთ მყოფებზე იზრუნე, თუ გინდა ისინი გვერდით არ მოგისვათო. დაამატეს, თუ დაგვიჯერებ, მალე გათავისუფლდები, თუ არა-წახვალ სამუდამოზეო. თანდათან ვრწმუნდები, რომ ჩემი დაკავება და იზოლირება წინასწარ გათვლილი და მოწყობილი პროვოკაცია იყო. მე ვარ პოლიტიკური მოტივით დაკავებული და ჩემთვის მოსჯილი უვადო პატიმრობა არის უკანონო და დაუსაბუთებელი. ეს იყო ქართული სპეცსამსახურებისა და აჭარის პროკურატურის უფროსი პროკურორის ავთანდილ კ-ს *(ორგანიზაცია უდანაშაულობის პრეზუმციიდან გამომდინარე, გვარს ინიციალით წარმოადგენს)* მოწყობილი პროვოკაცია.

მათ უნდოდათ ჩემი გამოყენება „ნაციონალების“ მიერ სამშობლოს მოღალატედ გამოცხადებული ჩემი უახლოესი ნათესავის, რომან დუმბაძის წინააღმდეგ. მისგან ჯერ ინფორმაცია უნდა მიმეღო, შემდეგ კი მომეკლა. გადაწყვეტილი ქონდათ, რომანის საკანში ჩავესვი და რასაც გენერალი გამანდობდა, ყველაფერი მათთვის მომეხსენებინა. თან მამუნათებდნენ, შენ ჯარისკაცი ხარ და ვალდებული ხარ, ქვეყნისთვის რაღაც გააკეთოო, რომან დუმბაძე კი როგორც მოღალატეს, ისე მოიხსენიებდნენ. ისინი აგრძელებდნენ ოჯახზე მუქარას. მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე. ივლისში კვლავ მომაკითხა ორმა უცნობმა, საკნიდან გამიყვანეს და მითხრეს, რა მოიფიქრეო. დაიწყეს მუქარა, დაშინება, ზემოქმედება და მაიძულეს, თანხმობა მეთქვა. სულ მალე დაიწყო აგისტოს ომი, რამაც შეცვალა ქართული სპეცსამსახურების გეგმები - ომის შემდგე გენერალ ბორისოვის მოთხოვნით, რომან დუმბაძე გაცვალეს 12 ქართველ ტყვე ჯარისკაცში და იგი რუსეთში გადაიყვანეს. ნოემბრამდე აღარავის შევუწუხებივარ. ნოემბერში კვლავ ის ორი უცნობი (როგორც მივხვდი სპეცსამსახურის თანამშრომლები) მოვიდა. მითხრეს, ალბათ გაიგებდი, რომანი რუსეთში წაიყვანეს და შენ ციხეში აღარ გვჭირდები, რომანთან უნდა წახვიდე და თუ როგორ, ამას ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ, როგორც მთავრობისგან ნაწამებსა და შევიწროებულს, რუსეთში გაგიშვებთ და რომანს სთხოვ შეგიფაროს, მანამდე გასწავლით, სპეციალური იარაღის, გადამღები და მოსასმენი აპარატურის მოხმარებასო. მოსასმენი და სათვალთავალო აპარატურა დუმბაძის სახლში მე უნდა დამემონტაჟებინა, ჩამეწერა მისი საუბრები და გადამეღო შეხვედრები, შემესწავლა მისი გადაადგილების მარშუტები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გენერალი მომეკლა.

მარწმუნებდნენ, რომ გენერალი სამშობლოს მოღალატე იყო, რომ ჩემს წვრთნასა და აღჭურვაში საქართველო დიდი თანხა გაიღო, მათი დავალების შესრულებით კი მე შევძლებდი სამშობლოსთვის ვალის მოხდას. მითხრეს, სროლა რომ კარგი იცი, ეს ვიცით, გაგიკეთებთ რუსეთის პასპორტს და მოქალაქეობას, მანამდე აქ გაგიფორმებთ საპროცესო შეთანხმებას, ოღონდ ერთი პირობით: შენმა ადვოკატმა არაფერი უნდა გაიგოსო. მართლაც მოვიდა ჩემთან პროკურორი ავთანდილ კ., დამაწერინა განცხადება და მითხრეს, ჩემი გაშვების დრო იყო. თვალს მადევნებდნენ და თუ რამე შემეშლებოდა, მე ან ჩემ ძმას დაგვხოცავდნენ. ისევე, როგორც როინ შავაძე მოკლეს. როინ შავაძეს კარგად ვიცნობიდი,

ერთად ვმუშაობდით. მათ წინადადებაზე უარი ვთქვი, ჩემს ნათესავს ვერ ვუღალატებ, მირჩევია მომკლათ ან სამუდამო პატიმრობაზე გამიშვათ მეთქი. ამის შემდეგ დამემუქრნენ, რომ მთელ ჩემს სისცოცხლეს ციხის საკანში გამატარებინებდნენ და იქ დამალპობდნენ. სასამართლო პროცესის წინა დღეს, ჩემთან მოვიდა პროკურორი, რომლის საუბრიდანაც მივხვდი, რომ მან ამ შემოთავაზების შესახებ ყველაფერი იცოდა და მკითხა, მზად ვიყავი თუ არა რუსეთში წასასვლელად. იგი მაიძულებდა საპროცესო შეთანხმებაზე წასვლასა და მათთან თანამშრომლობას. პროკურორი ისევ შეეცადა კვლავ დავერწმუნებინე, გამაკეთებინა ის სიბინძურე, რაც ორმა უცნობმა შემომთავაზა. ჩემი კატეგორიული უარის შემდეგ, მათი დანაპირები სისრულეში მოიყვანეს და სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს. ამის შემდეგ თავი დამანებეს, მაგრამ პროკურორისგან სასტიკად ვიყავი გაფრთხილებული, ხმა არ ამომეღო, თორე ჩემს ძმასა და ახლობლებს დასჯიდნენ. როგორც მითხრეს, ეს პროკურორი დღემდე მუშაობს აჭარის პროკურატურაში. მე დავისაჯე ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის - „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ლიდერების პირადი ანგარიშსწორების სურვილის გამო გენერალი დუმბაძის მიმართ. რომანი ჩემს „დაუხამრებლად“ მოკლეს მოსკოვში 2012 წელს“ (სტილი დაცულია).

3. დასკვნა

1997 წლიდან საქართველოში სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა დაკანონდა, თუმცა თუკი 2007 წლამდე საქართველოში მხოლოდ 25 უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი იხდიდა სასჯელს, 2014 წლის ბოლოსთვის, ოფიციალური ინფორამციით, მათი რიცხვი 81-მდე გაიზარდა. ექსპერტები და სპეციალისტები საკუთარ შეფასებებში ხშირად აღნიშნავდნენ, რომ უვადო პატიმრობის რიცხოვნობის გაზრდა პირდაპირ პროპორციული აღმოჩნდა 2003-2012 წლების ხელისუფლების მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გამო, რომელიც ცნობილია „ნულოვანი ტოლერანტობის“ სახით. რასაკვირველია, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მხოლოდ კანონის უზენაესობის, სამართლიანი სასამართლოს უფლების გამოყენებისა და საქმის ყოველმხრივი შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ. 2012 წლამდე მოქმედი ხელისუფლების პირობებში, სასამართლო დამოუკიდებლობის ხარისხმა და საპროკურორო ძალაუფლების მართლმსაჯულებაზე პირდაპირმა გავლენამ, შედეგად მოიტანა, მათ შორის უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების საქმეებზე არაეფექტური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და არაობიექტური განაჩენები. 2012 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, ცალსახად აღნიშნა ის გარემოება, რომ საქართველოში არსებობდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირები. შესაბამისად, სახელმწიფომ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1900 (2012) რეზოლუციაზე დაყრდნობით, ქვეყანაში პოლიტიკური ამნისტია გამოაცხადა, რომელიც, მათ შორის, უვადო თავისუფლებამისჯილ პირებსაც შეეხოთ.

საქართველოში უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების საქმეების გადახედვის საკითხიმ აქტუალური 2013 წლის აპრილიდან გახდა, რა დროსაც, სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულბაში მსჯავრდებულებმა, სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნით, შიმშილობის აქციები დაიწყეს. უვადო პატიმართა მოთხოვნით, მათ მიმართ როგორც გამოძიება, ისე სასამართლო გადაწყვეტილებები უსამართლო იყო. პატიმართა განცხადებით, მართალია, სახელმწიფომ გადადგა ჰუმანური ნაბიჯი და 2012 წლის „ამნისტიის შესახებ“ კანონით 2003-12 წლების ხელისუფლების მმართველობის პოლიტიკური რეჟიმის მხარე შეაფასა, მაგრამ კანონში გაჩენილმა ხარვეზმა, შეუძლებელი გახადა სამართლიანობის აღდგენა უვადო პატიმართა საქმეებზე და მათი საქმეების ხელახალი შესწავლა და გადახედვა. სასჯელის ¼-ით შემცირების პრინციპი უნდა გავრცელებულიყო უვადო თავისუფლება აღკვეთილებზეც, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის ერთ-ერთ რეალურ და არა აბსტრაქტულ ზომაზე. სასამართლო ხელისუფლებამ კი, ამნისტიის კანონის აღსრულების საკითხის განხილვისას გამოტანილ განჩინებაში აღნიშნა, რომ 28.12.2012 წლის ამნისტიის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთილებს სასჯელი უნდა შეუმცირდეს ¼-ით, რამეთუ აღნიშნული შეღავათი ვრცელდება ყველა სახის დანაშაულისა და სასჯელზე, რომლებზეც არ გავრცელდა ამნისტიის კანონის 1-15 მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, მაგრამ რაკი ამნისტიის კანონში კონკრეტულად არ იქნა გაწერილი, თუ როგორ მომხდარიყო აღნიშნული ნორმის გავრცელება უვადო სასჯელზე, რომელსაც ზედა ზღვარი არ გააჩნია, სასჯელის საბოლოო ზომა (უვადო) დარჩა უცვლელად. ორგანიზაციის მიერ შესწავლილ უვადო პატიმართა საერთო განცხადებაშიც, სამი ტიპის მოთხოვნას ვხედავთ, რომ მათი საქმეების პროცესში, ადგილი აქვს ა) არასწორ კვალიფიკაციას, ბ) არაადეკვატურ სასჯელსა და გ) პატიმრები თავს უდანაშაულოდ თვლიან. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, ხელისუფლებამ „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შექმნაზე განაცხადა, რომელსაც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი ხარვეზების გამოვლენა უნდა უზრუნველეყო, თუმცა კომისიის შექმნაზე, მოგვიანებით, ხელისუფლებამ უარი განაცხადა. შესაბამისად, მათ შორის უვადო პატიმართა საქმეების გადახედვის მოქმედ მექანიზმად კანონმდებლობაში არსებული შესაძლებლობები დარჩა - საქმეზე ახლადგამოვლენილი და ახლადაღმოჩენილი გარემოებები და პრეზიდენტის შეწყალების ინსტიტუტი. თუკი უვადო პატიმრების შეწყალების მარეგულირებელ აქტში წერია, რომ შეწყალების შესახებ შუამდგომლობის განხილვის პროცედურა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც

უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი სასჯელის 25 წელს მოიხდის, საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება, შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე, დადგენილი წესების დაუცველად, მიიღოს პირის შეწყალების გადაწყვეტილება. როგორც პრაქტიკული მაგალითები გვიჩვენებს, საქართველოს პრეზიდენტმა 2004-2013 წლებში, მიხეილ სააკაშვილმა, 2011 წელს შეიწყალა უვადო პატიმრობაში მყოფი თურქეთის რესპუბლიკის მოქალქეები: ალთან ადნან სარიბაში, სელჩუკ კირჩიჩეკი, ჯენგიზ კირჩიჩეკი, მეჰმედ ასლანკაია და ფიქრეთ თათარი (პრეზიდენტის 09.06.2011 წლის #09/06/01 განკარგულება), ხოლო 2015 წლის მარტში, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სამი უვადო პატიმარი ქალბატონი შეიწყალა. მათ, ნაცვლად უვადო პატიმრობისა, პატიმრობის ვადა 20 წლით განესაზღვრათ.

ორგანიზაციამ შეისწავლა ევროპული დირექტივები და შვიდი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც უვადო თავისუფლებაღკვეთილ პირებთან მიმართებით მნიშვნელოვან სტანდარტებს ადგენს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამომავლო მიდგომები, მნიშვნელოვანია არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებას დაუახლოვდეს. კერძოდ, საფრანგეთის, ავსტრიის, გერმანიის, ხოლო მეზობელი ქვეყნების - სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის მაგალითზე, შეიძლება ვიმსჯელოთ უვადო პატიმართა საქმეების გადახედვის პერიოდზე.

- უკრაინის კანონმდებლობით, უვადო პატიმრობა არ შეეფარდებათ იმ პირებს, ვისაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის, არის 60 წელს მიღწეული და ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენისას ან განაჩენის გამოტანისას, არიან ორსულად. ქვეყნის კანონმდებლობით, ასეთი საქმეების გადახედვა შესაძლებელია თავისუფლებისაღკვეთის 25-წლიანი ვადის გასვლის შემდგომ.

- აზერბაიჯანის კანონმდებლობით, უვადო პატიმრობას არ ექვემდებარებიან ქალები, ასევე 18 წელს მიუღწეული პირები და 65 წელს მიღწეული მამაკაცები. აზერბაიჯანში, 25 წლიანი პატიმრობის მოხდის შემდეგ, შეიძლება გადაიხედოს ასეთი საქმეები, თუ ჩაითვლება, რომ აღარ არის საჭირო უვადო პატიმრობის მოხდა და ასევე, თუ თავისუფლების აღკვეთის დროს, მას არ ჩაუდენია განზრახი დანაშაული. ასევე, კანონით განსაზღვრულია, რომ უვადო პატიმრობა პირს შეიძლება შეეცვალოს მაქსიმუმ 15 წლით თავისუფლების აღკვეთით.

- სომხეთის კანონმდებლობის მიხედვით, უვადო პატიმრობა არ შეეფარდება ქალებს, რომლებიც არიან ორსულად დანაშაულის ჩადენისას ან განაჩენის გამოტანის დროს, ასევე 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირებს.

- რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, უვადო პატიმრის საქმე შეიძლება გადაიხედოს, თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ პირისთვის საკმარისია მოხდილი სასჯელი.

- გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, უვადო პატიმარს მინიმუმ 15 წელი უნდა ჰქონდეს მოხდილი, რომ დაიწყოს მისი სასჯელის გადახედვის პროცედურები.

- ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, უვადო პატიმარს მინიმუმ 15 წელი უნდა ჰქონდეს მოხდილი, რომ მას გადაეხედოს სასჯელი.

- საფრანგეთის კანონმდებლობით, სასჯელის ზომა შემცირდება, თუ მსჯავრდებულს სიცოცხლის ბოლო დღეები აქვს დარჩენილი ძლიერი ავადმყოფობის გამო, გარდა დანაშაულის რეცედივის რისკისა. ასევე, საქმეების გადახედვა შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის 18-წლიანი ვადის გასვლის შემდგომ.

ორგანიზაიცამ შეისწავლა ევროპული კომიტეტის დირექტივებიც, რომელიც ეხება წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის პრევენციებს. აღნიშნული სტანდარტების

თანახმად, ა) არ შეიძლება პიროვნების იძულება, სიცოცხლე ციხეში დაასრულოს, ბ) არც ერთი კატეგორიის პატიმარს არ უნდა მიენიჭოს იარლიყი - „მთელ დარჩენილ სიცოცხლეს ციხეში გაატარებს“, გ) უარი გათავისუფლების თაობაზე არასოდეს არ უნდა იყოს საბოლოო და დ) პირობით გათავისუფლების შემდგომ კვლავ ციხეში დაბრუნებულ პატიმრებსაც კი არ უნდა წაერთვათ გათავისუფლების იმედი. ევროპული კომიტეტის შეხედულებებით, „იმ კატეგორიის პატიმრებს რომლებიც დიდი ალბათობით მთელ დარჩენილ სიცოცხლეს ციხეში გაატარებს“, ეს სიტყვები წინააღმდეგობაში მოდის Rec (2003) 22 4-ე დანართთან, რომელიც განსაზღვრავს, რომ „პირობითი გათავისუფლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მსჯავრდებულისთვის, მათ შორის მათთვისაც, ვისაც უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი.“ გათავისუფლების დისკრეციული სისტემის შესაბამისად, როდესაც ამოიწურება სასჯელით გათვალისწინებული მოხდის მინიმალური ვადა, თუ გადაწყვეტილების მიმღები შესაბამისი ორგანო გადაწყვეტს, არ დააკმაყოფილოს პირობით გათავისუფლების მოთხოვნა, მან იქვე უნდა დანიშნოს თარიღი, როდესაც ამ საკითხის გადახედვა ისევ გახდება შესაძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავიდან მიმართოს გადაწყვეტილების მიღებისთვის უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს, როგორც კი სიტუაცია არსებითად შეიცვლება მას სასარგებლოდ. იმ პირობების დაუცველობამ, რომლითაც პატიმარი პირობითაა გათავისუფლებული აღკვეთის ღონისძიებისაგან, შეიძლება გამოიწვიოს მისი ისევ ციხეში დაბრუნება. ასეთი პატიმრის დაწესებულებაში განთავსება და შემდგომი ინტერვენციების გატარება მის მიმართ უნდა განისაზღვროს ახალი გარემოებების შესაბამისად. სწორედ ეს ინტერვენციები უნდა იქნეს გადამწყვეტი ამ პატიმრის მიმართ პირობითი გათავისუფლების შესახებ ახალი გადაწყვეტილების მიღებისას. ყველა ეს ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს უმთავრეს მიზანს, რათა მოამზადოს პატიმარი საზოგადოებასთან მომავალი ინტეგრაციისათვის. თუკი პირობითი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების დარღვევის შედეგად, უვადო ან ხანგძლივი ვადით პატიმრობა შეფარდებული პირი დაუბრუნდება ციხეს, ზემოთჩამოთვლილი პრინციპები მის მიმართ მაინც უნდა განაგრძობდეს ფუნქციონირებას. განსაკუთრებით უნდა იქნას გათვალისწინებული კრიმინოგენული აუცილებლობა და მომავალი ქმედების რისკები და ამ ფონზე განისაზღვროს ინტერვენციის ახალი სახეები, იმ მიზნით, რათა მოვამზადოთ პატიმარი ადრეული გათავისუფლების შესაძლებლობისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციისათვის“.

თუ გავითვალისწინებთ ევროპულ ხედვას ამ მიმართულებით, ერთ-ერთი სტანდარტი არის სწორედ ის, რომ უვადო პატიმარი არ შეიძლება მოიაზრებოდეს უფრო საშიშად, ვიდრე, პატიმარი, რომელიც უვადო სასჯელს არ იხდის. როგორც წესი, ზომები, როცა უვადო პატიმრობამისჯილები ჰყავთ ცალკე და არ ხდება მათი შერევა სხვა მსჯავრებულებთან, მოიაზრება, როგორც გადამეტებული და უსაფუძვლო. ევროსასამართლოს ხედვა ბოლო რამდენიმე წელია არის ის, რომ უვადო პატიმარს აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმედი და რეალური შანსი პატიმრობიდან გათავისუფლების. ამან გამოიწვია ის, რომ ბევრმა სახელმწიფომ შეცვალა კანონმდებლობა და გარკვეული წლების გასვლის შემდეგ (ეს ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში 12 წელია, ზოგიერთ შემთხვევაში კი - 15, 20 ან 25 წელი), უვადო პატიმრებს აქვთ უფლება მიმართონ, იგივე, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიას და მოითხოვონ ციხიდან მათი გათავისფლების საკითხის განხილვის დაწყება.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ჰუმანიზმის პრინციპების დამკვიდრებისა და დემოკრატიის სტანდარტის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია უვადო პატიმართა საქმეების გადახედვის დროსთან დაკავშირებით, გარკვეული ცვლილებები შევიდეს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მოხდეს ასეთი საქმეების გადახედვის დაშვება 15 ან 20-წლიანი თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლის შემდგომ. მნიშვნელოვანია, ამ მოცმეულობაში, გათვალისწინებულ იქნეს მსჯავრდებულის დახასიათება, მისი საპატიმრო ქცევის წესი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხი და რისკის ფარგლები. ის ფაქტი, რომ ქართულ ციხეებში 80-მდე უვადო პატიმარი იხდის სასჯელს, ბევრი მათგანი 2012 წლის შემდგომ, შეცვლილი ვითარების ფონზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას და საქმეების გადახედვას მოითხოვს, სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვან თანხვედრ ნაბიჯებს საჭიროებს. ამასთან, უნდა გადაიხედოს „ამნისტიის შესახებ“ კანონში არსებული ხარვეზები და უვადო პატიმართა საქმეების გადახედვა ინდივიდუალური

პრინციპით უნდა მოხდეს. მნიშვნელოვანია, რომ თავად სასამართლო ხელისუფლება ობიექტურად აფასებს საკანონმდებლო ხარვეზსს და აღნიშნული პრობლემის არსებითად გადაწყვეტისათვის მიაჩნია, რომ საჭიროა საქართველოს პარლამენტს მიემართოს, რათა მან უზრუნველყოს სათანადო საკანონმდებლო ცვლილების მიღება, რის საფუძველზეც, შემდეგ სასამართლო იმოქმედებდა ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად. ამასთან, საჭიროა საგამოძიებო უწყებების მეტი ქმედითი ნაბიჯები, როდესაც სახეზეა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ და დადგენილებაში წარმოდგენილ მსჯავრდებულებს შორის, არიან უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებიც, მათ შორის გივი დუმბაძე.

ორგანიზაციამ სრულად შეისწავლა გივი დუმბაძის საქმე, მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელიც ტოვებს აშკარა შთაბეჭდილებას, რომ გივი დუმბაძის მიმართ, პოლიტიკური მოსაზრებით, განხორციელებულია იძულება, დევნა და იმყოფება უკანონო პატიმრობაში. გივი დუმბაძე წარმოადგენს 2003-12 წლების მმართველობის მსხვერპლს, ვინაიდან სასჯელს იხდის დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, მისი საქმე ექვემდებარება გადახედვას, რომელიც დღემდე არ მომხდარა და საქმის მასალები საჭიროებს სიღმისეულ შესწავლას, ვინაიდან გამოძიების მეშვეობით, დადგინდეს საქმეში არსებული ნამდვილი და ფალსიფიცირებული მტკიცებულებები. ორგანიზაცია ეთანხმება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, იკვეთება გივი დუმბაძის მიმართ სამართალწარმოების განხორციელებისას პოლიტიკური მოტივის არსებობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევები. გივი დუმბაძის უკანონო დაკავება და მსჯავრდება მოხდა პოლიტიკური მიზნებისთვის და არ იყო დაკავშირებული რაიმე დარღვევასთან. ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას, ვინაიდან გივი დუმბაძე 2008 წლის 24 ივნისს, საქართველო-თურქეთის საზღვარზე, იმყოფებოდა არა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-გადმოტანის მოტივით, არამედ თურქეთში იმყოფებოდა ოჯახის წევრების - სიძისა და დისთვის საზაფხულო ტანსაცმლის გადაცემისთვის, ამ მიზნით რამდენიმე დღით გათავისუფლება ითხოვა საჯარისო ნაწილის ხელმძღვანელობისგან და დაკავების მომენტში, იგი ბრუნდებოდა სამსახურეობრივ პოზიციაზე. მისი დაკავების და დანაშაულში ბრალდების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ახლო ნათესავის, რომან დუმბაძის მიმართ თვალთვალისა და შემდგომ ლიკვიდაციის დავალების შესრულება, რაზედაც, გივი დუმბაძემ თავიდანვე უარი განაცხადა. ყველა ჩვენება, რომელიც გივი დუმბაძის მიერ დაკავების მომენტში, სასამართლო სხდომებსა თუ სამართალწარმოების სტადიაზეა მოცემული, სინამდვილესთან არავითარი შემხებლობა არ გააჩნია, ვინაიდან 2008-12 წლებში, არსებობდა მისი და მისი ოჯახის წარმომადგენელთა ფიზიკური ლიკვიდაციის საფრთხე, თუკი საქმეზე საჯარო გახდებოდა ცალკეული ეპიზოდები და გარემობები. შესაბამისად, ვიდრე არ დადასტურდება საწინააღმდეგო და არ მოხდება გივი დუმბაძის საქმეში იმ ფაქტების შემოწმება, გამოკვლევა, რომელიც ცნობილი 2012 წლის 1 ოქტომბრის ხელისუფლების ცვლილების შემდგომ გახდა, რომელზედაც მსჯავრდებული საუბრობს თავის საგაზეთო ინტერვიუში, შეუძლებელია გივი დუმბაძის თავისუფლების აღკვეთა მიჩნეულ იქნეს კანონიერ საპატიმრო ვადად. ორგანიზაციის ასეთი პოზიცია, აგრეთვე დამყარებულია გივი დუმბაძესთან 2015 წლის 13 აგვისტოს შეხვედრაზე საქმეზე მიღებული ინფორმაციის ანალიზთანაც. შესაბამისად, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ გივი დუმბაძის საქმე უნდა დაექვემდევაროს დაუყოვნებლივ გადახედვას და სახელმწიფოს შესაბამისმა ინსტიტუციებმა მიიღონ რეალურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული კანონიერი გადაწყვეტილება, რაც იქნება უვადო თავისუფლებააღკვეთილთა საქმეებზე, პირველი და მნიშვნელოვანი პრეცედენტი, რომ სახელმწიფო მზადაა სამართლიანობის აღდგენა კანონის უზენაესობას და საჯარო ინტერესს დაუქვემდებაროს.

4. სარეკომენდაციო ნაწილი

საქართველოს პრეზიდენტის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში, გადახედოს შეწყალების არსებულ მიდგომებს და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა განცხადებების განხილვასა და შესწავლას, რომლებიც სასჯელთა შეცვლას და/ან განახევრას მოითხოვენ. საჭიროა, პატიმართა საქმეების ინდივიდუალური პრინციპით შესწავლა და მათი ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე, რისკისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შეფასების ფონზე, ასეთი მსჯავრდებულების შეწყალება - სასჯელისგან გათავისუფლება ან/და სასჯელის შემცირება ან/და ვადიანი სასჯელის დადგენა;

2. მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა ობიექტურად შეისწავლოს გივი დუმბაძის საქმე და საქმის რეალური გარემოებებიდან გამომდინარე, გივი დუმბაძე, შეწყალების აქტის საფუძველზე, სასჯელისგან გათავისუფლდეს. შეწყალების გამოყენებაზე, პრეზიდენტის შეწყალების კომისიის უარი დაუსაბუთებულია და არ ეფუძნება საქმის შესწავლის ობიექტურ ვარაუდს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, პრეზიდენტი დაინტერესდეს პატიმრობაში უკანონოდ მყოფი სამხედრო მოსამსახურის, გივი დუმბაძის საკითხით და მის მიმართ გამოიყენოს შეწყალების ექსკლუზიური უფლებამოსილება.

საქართველოს მთავრობის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ სისტემური მიდგომა შექმნას უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულთა საქმეების მიმართ, საქმეების გადახედვა უზრუნველყოს საქართველოს პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა და საქმეების გადახედვა დაეფუძნოს გონივრულ ვადებს, საქმეთა შესწავლისა და გადახედვის ინდივიდუალურ პრინციპსს;

2. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ გააკეთოს პოლიტიკური განცხადება, „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით დასახელებულ პირთა საქმეების გადახედვის მიმართ სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარების შესახებ, რითაც აღნიშნულ პირთა მიმართ, უნდა დაიწყოს სამართლიანობის აღდგენის რეალური პროცესი;

3. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაიწყოს სწრაფი და ეფექტური გამოძიება საქართველოს პარლამენტის მიერ „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ დადგენილებაში დასახელებულ პირთა საქმეების მიმართ. აღნიშნულ საქმეებზე, საგამოძიებო ორგანოს მუშაობის ტემპი მნიშვნელოვნად აფერხებს დასახელებულ საქმეებზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას და მოლოდინებს.

საქართველოს პარლამენტის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა ეფექტური კონტროლი ან/და მონიტორინგი განახორციელოს „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ

პირთა შესახებ“ 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში დასახელებულ პირთა საქმეების შესწავლისა და მიმდინარეობის პროცესის მიმართ;

2. მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელოს 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში და აღმოიფხვრას არსებული ხარვეზი, რომელიც უვადო თავისუფლებააღკვეთის მქონე პატიმრების მიმართ, სასჯელის გადახედვის პროცესში, გაავრცელებს სასჯელის ¼-ით შემცირების პრინციპს და განსაზღვრავს, თუ როგორ მოხდეს აღნიშნული ნორმის გავრცელება უვადო სასჯელზე. სხვა შემთხვევაში, ამნისტიის კანონი მიიჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზის მქონედ და არ იქნება ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისი.